

**შპს „MAX-TRANS GEORGIA“**

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება**

**2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად**

სექტემბერი 2023  
თბილისი

---

|                                    |    |
|------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა    | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 8  |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება       | 9  |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  | 10 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება       | 11 |
| განმარტებითი შენიშვნები            | 12 |
| მმართველობის ანგარიშგება           | 25 |

შპს „MAX-TRANS GEORGIA“-ს

დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა**

**პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „MAX-TRANS GEORGIA“-ს (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, გარდა მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველის აზრებში არსებული გარემოებისა, სამართლიანად ასახავს შპს „MAX-TRANS GEORGIA“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს, რომელიც ჩატარდა აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2022 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 554,874 ლარის ღირებულებით. შესაბამისად, აღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით, აგრეთვე მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო, ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობებზე 2022 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**კომპანიის 2022 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

. თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;

. მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „MAX-TRANS GEORGIA“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს „MAX-TRANS GEORGIA“-ს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „MAX-TRANS GEORGIA“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკვნა გამოგვქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს MAX-TRANS GEORGIA ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს MAX-TRANS GEORGIA უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის

ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

#### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრებ. ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7, ნაწილები მე 2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე, განვაცხადოთ ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშებაში კანონი განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

#### **მოსაზრება ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშებაზე**

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშების კანონი განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტი გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,  
ოთარ ახოზაძე  
გარიგების პარტნიორი  
ხელმოწერა

თარიღი: 30.09.2023 წ.

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“

თბილისი, საქართველო



**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს MAX-TRANS GEORGIA (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდით, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

მ. მალაყმაძე



**შპს MAX-TRANS GEORGIA**  
**ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**


|                                               | შენიშვნა | 31<br>დეკემბერი<br>2 022 | 31 დეკემბერი<br>2 021 | 31 დეკემბერი<br>2 020 |
|-----------------------------------------------|----------|--------------------------|-----------------------|-----------------------|
|                                               |          | ლარი                     | ლარი                  | ლარი                  |
| <b>აქტივები</b>                               |          |                          |                       |                       |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | 8        | 150 917                  | 3607                  | 392611                |
| სავაჭრო მოთხოვნები                            | 7        | 1 396 190                | 1448944               | 1370029               |
| გადახდილი ავანსები                            |          | 360 249                  | 1078677               | 62471                 |
| საქონელი                                      | 6        | 384 866                  | 733683                | 628389                |
| სხვა მარაგები                                 | 6        | 170 008                  | 743933                | 15629                 |
| სხვა აქტივები                                 |          | 402 629                  | 417965                | 336102                |
| ძირითადი საშუალებები                          | 4        | 8 950 373                | 8390822               | 5136654               |
| გაცემული სესხები                              | 17       | 2 061 152                | 1963547               |                       |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                    |          | 180 314                  | 9518                  | -                     |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>14 056 697</b>        | <b>14 790 696</b>     | <b>7 941 884</b>      |
| <b>ვალდებულებები</b>                          |          |                          |                       |                       |
| გადასახდელი ხელფასები                         | 12       | 0                        | -                     | -                     |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 10       | 1 130 075                | 858833                | 447209                |
| მიღებული ავანსები                             |          | 95 161                   | 709                   | -                     |
| საგადასახადო ვალდებულებები                    |          | -                        | -                     | -                     |
| სხვა ვალდებულებები                            |          | 307 311                  | 81387                 | 20800                 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები            | 11       | 6 733 496                | 9270371               | 4604273               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |          | <b>8 266 043</b>         | <b>10 211 300</b>     | <b>5 072 282</b>      |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                          |                       |                       |
| საწესდებო კაპიტალი                            |          |                          |                       | -                     |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                 | 9        | 5 790 654                | 4 579 396             | 2 869 603             |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  |          | <b>5 790 654</b>         | <b>4 579 396</b>      | <b>2 869 603</b>      |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>14 056 697</b>        | <b>14 790 696</b>     | <b>7 941 884</b>      |

დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა

გაცა 2023 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი:

მალხაზ მალაყმაძე



შენიშვნები გვერდებზე 12-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.


**შპს MAX-TRANS GEORGIA**  
**სრული შემოსავლების ინდივიდუალური ანგარიშგება**  
**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                                                               | შენიშვნა  | 2022 წელი          | 2021 წელი          |
|-------------------------------------------------------------------------------|-----------|--------------------|--------------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                                         |           | <b>23,355,234</b>  | <b>21,302,750</b>  |
| საქონლის რეალიზაციიდან და შიდა გადაზიდვებიდან                                 | 13        | 18,681,320         | 17,892,184         |
| საერთაშორისო გადაზიდვებიდან                                                   | 13        | 4,673,914          | 3,410,566          |
| <b>რსტ</b>                                                                    | <b>14</b> | <b>-13,769,719</b> | <b>-14,696,629</b> |
| <b>საერთო მოგება</b>                                                          |           | <b>9,585,515</b>   | <b>6,606,121</b>   |
| <hr/>                                                                         |           |                    |                    |
| სხვა შემოსავალი                                                               |           |                    | 24,225             |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                      |           | -733,118           | -567,449           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                          |           | -1,093,600         | -930,853           |
| საპროცენტო შემოსავალი:                                                        |           | 146,741            | 9,518              |
| საპროცენტო ხარჯი :                                                            |           | -515,675           | -356,755           |
| იჯარის ხარჯი                                                                  |           | -35,000            | -55,000            |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                      | 14        | -7,013,388         | -3,737,169         |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                 |           | <b>-9,244,041</b>  | <b>-5,613,483</b>  |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                      |           | <b>341,473</b>     | <b>992,638</b>     |
| <hr/>                                                                         |           |                    |                    |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>                                     |           |                    |                    |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)                                               |           | 1,139,695          | 719,929            |
| სავალუტო ოპერაციებიდან                                                        |           |                    |                    |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)                                 |           | -214,036           | 11,467             |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან</b> |           | <b>1,267,132</b>   | <b>1,724,035</b>   |
| მოგების გადასახადი                                                            |           | -13,769            | -3,715             |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                                                        |           | <b>1,253,363</b>   | <b>1,720,320</b>   |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)</b>                                     |           | <b>1,253,363</b>   | <b>1,720,320</b>   |

დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მალხაზ მალაყმაძე




შენიშვნები გვერდებზე 12-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

**შპს MAX-TRANS GEORGIA**

**კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება**


**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

|                                            | გაუნაწილებელი<br>მოგება / ზარალი | სულ              |
|--------------------------------------------|----------------------------------|------------------|
| <b>2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>2,869,603</b>                 | <b>2,869,603</b> |
| აკუმულირებული მოგება/ზარალი                | 1,720,320                        | 11,720,320       |
| გაცემული დივიდენდი                         | -10,526                          | -10,526          |
| <b>2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>4,579,396</b>                 | <b>4,579,396</b> |
| აკუმულირებული მოგება/ზარალი                | 1,253,363                        | 1,253,363        |
| გაცემული დივიდენდი                         | -42,105                          | -42,105          |
| <b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>5 790 654</b>                 | <b>5 790 654</b> |

დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მალხაზ მალაყმაძე



შენიშვნები გვერდებზე 12-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

**შპს MAX-TRANS GEORGIA**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება**

**2022 წლის 31 დეკემბერი**

|                                                          | 2022 წელი          | 2021 წელი          |
|----------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>2 169 576</b>   | <b>(3 173 181)</b> |
| წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან                     | 26 388 004         | 24 000 943         |
| მიმწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები                   | (20 252 485)       | (23 739 608)       |
| გადახდილი ხელფასი                                        | (603 240)          | (489 658)          |
| გადახდილი გადასახადები                                   | (2 811 447)        | (2 370 989)        |
| გადახდილი სხვა ხარჯი                                     | (551 256)          | (573 869)          |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>(97 605)</b>    | <b>(1 963 547)</b> |
| გრძელვადიანი ინვესტიციების შეზენა                        |                    |                    |
| სესხის გაცემა                                            | (366 435)          | (1 963 547)        |
| გაცემული სესხის დაბრუნება                                | 268 830            |                    |
| მიღებული პროცენტი                                        |                    |                    |
| სხვა შემოსავლები                                         |                    |                    |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>    | <b>(1 920 357)</b> | <b>4 918 737</b>   |
| შემოსავალი კაპიტალის გაზრდიდან                           |                    |                    |
| დივიდენდის გაცემა                                        | (40 000)           | (10 000)           |
| სესხის აღება                                             |                    | 6 734 040          |
| სესხის დაფარვა                                           |                    | (720 000)          |
| გრძელვადიანი სესხის და სხვა ვალდებულებების აღება         |                    |                    |
| გრძელვადიანი სესხის დაფარვა                              | (1 408 292)        | (746 981)          |
| გადახდილი პროცენტი                                       | (472 065)          | (338 322)          |
| <b>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b> | <b>151614.12</b>   | <b>(217 991)</b>   |
| <b>სავალუტო კურსის ეფექტი</b>                            | <b>-4303.59</b>    | <b>-171013</b>     |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>       | <b>3606.65</b>     | <b>392611</b>      |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>150917.18</b>   | <b>3 607</b>       |

დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა  
გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

მალხაზ მალაყმაძე



შენიშვნები გვერდებზე 12-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

## შპს „MAX-TRANS GEORGIA“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

### 1. შესავალი

#### კომპანია და მისი საქმიანობა

შპს MAX-TRANS GEORGIA დაარსდა 2008 წლის 17 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში კერძოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალაქ ბათუმში.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო გადაზიდვების როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა. ასევე კომპანია ახორციელებს ქათმის გაყინული პროდუქციის იმპორტსა და საქართველოს ბაზარზე მის რეალიზაციას, სამშენებლო/სარემონტო მასალების იმპორტსა და რეალიზაციას.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.# 21 ბინა 6.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, გაგარინის ქ.#5 კომპანია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში. 2023 წლიდან კი კომპანიის ოფისი გადავიდა მის მიერ აშენებულ კომერციულ ფართში.

კომპანიას ყავს ერთი დამფუძნებელი ფიზიკური პირი რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100%-ს.

კომპანიის დირექტორია მალხაზ მაღაყმაძე პ.ნ 61006012322, რომელიც ამავდროულად მისი დამფუძნებელია.

#### წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

| ვალუტა    | 31 დეკ 2022 | 31 დეკ 2021 |
|-----------|-------------|-------------|
| 1 USD/GEL | 2.7020      | 3.0976      |
| 1 EUR/GEL | 2.8844      | 3.5040      |

## 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### მომზადების საფუძვლები

#### შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ფასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამოიყენებს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

#### ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

ხელმძღვანელობამ შეაფასა მიმდინარე გეგმები, ლარის გაუფასურების ეფექტის და მთავარ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ხარჯების კატეგორიებზე მისი გავლენის გათვალისწინებით. ამ ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია მოახდენს შესაბამისი საოპერაციო ფულადი სახსრების გენერირებას მისი სამუშაო კაპიტალის და ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის დასაფინანსებლად.

#### ძირითადი საშუალებები

##### აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება.

##### ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა:

|                              | სასარგებლო გამოყენების<br>ვადა წლებში: |
|------------------------------|----------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები            | 20                                     |
| მანქანა-დანადგარები          | 5-10                                   |
| კომპიუტერული და სხვა ტექნიკა | 5-10                                   |
| ავიჯი და სხვა ინვენტარი      | 5-10                                   |
| სატრანსპორტო საშუალებები     | 5-10                                   |
| სხვა ძირითადი საშუალებები    | 5-10                                   |

**აღიარების შეწყვეტა**

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

**სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

**ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

**ფინანსური აქტივები****თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება**

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

#### აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება.

ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

#### ფინანსური ვალდებულებები

##### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები.

„კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

##### აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

#### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

##### სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების

შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

#### სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

#### **გადასახადები**

##### მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

##### დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

#### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

#### **შემოსავლები**

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით

განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

#### **საქონლის (მომსახურების) გაყიდვა**

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

#### **მომსახურების გაწევა**

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

#### **აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.**

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

#### **სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი**

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

#### **საწესდებო კაპიტალი.**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

#### **დივიდენდები.**

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნა.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

#### *არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა*

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მომველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

#### *ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის*

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

|                                | მიწის<br>ნაკვეთები | დაუმთავრებელი<br>შენობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა,<br>კომპიუტერული<br>ტექნიკა, ავეჯი<br>და ინვენტარი | სპეცია<br>ლური<br>ინსტრუ<br>მენტები | სატრანს<br>პორტო<br>საშუალებ<br>ები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყ<br>ობა | ჯამი       |
|--------------------------------|--------------------|---------------------------|-------------------------|--------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------------------------------|------------|
|                                | 4,059              | 2,661,725                 | 521,302                 | 17,016                                                                   | 8,923                               | 4,102,804                           | 305,013                                          | 7,620,842  |
| ღირებულება 1 იანვარი 2020      | 2,487,421          | 219,204                   | 195,731                 | 8,880                                                                    | 763                                 | 1,380,521                           | 12,746                                           | 4,305,265  |
| სესხის აღება                                             |                    | 6 734 040          |
| სესხის დაფარვა                                           |                    | (720 000)          |
| გრძელვადიანი სესხის და სხვა ვალდებულების აღება           |                    |                    |
| გრძელვადიანი სესხის დაფარვა                              | (1 408 292)        | (746 981)          |
| გადახდილი პროცენტი                                       | (472 065)          | (338 322)          |
| <b>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b> | <b>151614.12</b>   | <b>(217 991)</b>   |
| <b>სავალუტო კურსის ეფექტი</b>                            | <b>-4303.59</b>    | <b>-171013</b>     |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>       | <b>3606.65</b>     | <b>392611</b>      |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>150917.18</b>   | <b>3 607</b>       |

დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 30 სექტემბერს.

**დირექტორი:**

მალხაზ მალაყმაძე

შენიშვნები გვერდებზე 12-24 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

## 1. შესავალი

### კომპანია და მისი საქმიანობა

შპს MAX-TRANS GEORGIA დაარსდა 2008 წლის 17 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში კერძოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალაქ ბათუმში.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს სატრანსპორტო გადაზიდვების როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვა. ასევე კომპანია ახორციელებს ქათმის გაყინული პროდუქციის იმპორტსა და საქართველოს ბაზარზე მის რეალიზაციას, სამშენებლო/სარემონტე მასალების იმპორტსა და რეალიზაციას.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.# 21 ბინა 6.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, გაგარინის ქ.#5 კომპანია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში. 2023 წლიდან კი კომპანიის ოფისი გადავიდა მის მიერ აშენებულ კომერციულ ფართში.

კომპანიას ყავს ერთი დამფუძნებელი ფიზიკური პირი რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100%-ს.

კომპანიის დირექტორია მალხაზ მალაყმაძე პ.ნ 61006012322, რომელიც ამავდროულად მისი დამფუძნებელია.

### წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

| ვალუტა    | 31 დეკ 2022 | 31 დეკ 2021 |
|-----------|-------------|-------------|
| 1 USD/GEL | 2.7020      | 3.0976      |
| 1 EUR/GEL | 2.8844      | 3.5040      |

## 2. მომზადების საფუძვლები და საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### *მომზადების საფუძვლები*

#### *შესაბამისობის პრინციპი*

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად. .

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ფასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

#### *ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება*

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.

ხელმძღვანელობამ შეაფასა მიმდინარე გეგმები, ლარის გაუფასურების ეფექტის და მთავარ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ხარჯების კატეგორიებზე მისი გავლენის გათვალისწინებით. ამ ანალიზის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია მოახდენს შესაბამისი საოპერაციო ფულადი სახსრების გენერირებას მისი სამუშაო კაპიტალის და ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის დასაფინანსებლად.

#### *ძირითადი საშუალებები*

##### *ადიარება და შეფასება*

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის ადიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ასევე ობიექტური აუცილებლობის შემთხვევაში, ხდება მათი გადაფასება.

##### *ცვეთა*

ცვეთის ადიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა:

|                              | სასარგებლო გამოყენების<br>ვადა წლებში: |
|------------------------------|----------------------------------------|
| შენობა-ნაგებობები            | 20                                     |
| მანქანა-დანადგარები          | 5-10                                   |
| კომპიუტერული და სხვა ტექნიკა | 5-10                                   |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი      | 5-10                                   |
| სატრანსპორტო საშუალებები     | 5-10                                   |
| სხვა ძირითადი საშუალებები    | 5-10                                   |

### **აღიარების შეწყვეტა**

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება:

(ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან

(ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. ასეთი სახის შემოსულობას არ ენიჭება ამონაგების კლასიფიკაცია.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

### **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება ასევე წრფივი მეთოდით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 10 წელს.

### **სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

### **ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვას აწარმოება ბასს 39-ის მიხედვით.

### **ფინანსური აქტივები**

#### **თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება**

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

#### აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება.

ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

### **ფინანსური ვალდებულებები**

#### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები.

„კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

#### აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიიჩნევა საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

### **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა**

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

#### სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების

შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

#### სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

### **გადასახადები**

#### მოგების მიმდინარე გადასახადი

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

#### დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

### **შემოსავლები**

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით

განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

**საქონლის (მომსახურების) გაყიდვა**

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

**მომსახურების გაწევა**

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

**აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.**

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

**სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი**

დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

**საწესდებო კაპიტალი.**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**დივიდენდები.**

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნა.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

#### *არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა*

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

#### *ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის*

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს „MAX-TRANS GEORGIA“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

4. ძირითადი საშუალებები

|                                                       | მიწის<br>ნაკვეთები | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობები         | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა,<br>კომპიუტერული<br>ტექნიკა, ავეჯი<br>და ინვენტარი | სპეცია<br>ლური<br>ინსტრუ<br>მენტები | სატრანს<br>პორტო<br>საშუალებ<br>ები | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყ<br>ობა | ჯამი              |
|-------------------------------------------------------|--------------------|-----------------------------|------------------|-------------------------|--------------------------------------------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|--------------------------------------------------|-------------------|
| <b>ღირებულება 1 იანვარი 2020</b>                      |                    | <b>4,059</b>                | <b>2,661,725</b> | <b>521,302</b>          | <b>17,016</b>                                                            | <b>8,923</b>                        | <b>4,102,804</b>                    | <b>305,013</b>                                   | <b>7,620,842</b>  |
| შესყიდვა                                              | 2,487,421          | 219,204                     |                  | 195,731                 | 8,880                                                                    | 763                                 | 1,380,521                           | 12,746                                           | <b>4,305,265</b>  |
| რეალიზაცია                                            |                    |                             |                  |                         | -                                                                        |                                     | 120,244                             |                                                  | <b>120,244</b>    |
| <b>ღირებულება 31 დეკემბერი 2021</b>                   | <b>2,487,421</b>   | <b>223,263</b>              | <b>2,661,725</b> | <b>717,033</b>          | <b>25,896</b>                                                            | <b>9,686</b>                        | <b>5,363,081</b>                    | <b>317,759</b>                                   | <b>11,805,864</b> |
| შესყიდვა                                              |                    |                             | 1,457,164        |                         | 413,186                                                                  | 9,191                               | 49,546                              |                                                  | <b>1,929,087</b>  |
| რეალიზაცია                                            |                    |                             |                  | 14,479                  |                                                                          |                                     | 477,490                             |                                                  | <b>491,969</b>    |
| ღირებულება 31 დეკემბერი 2022                          | 2,487,421          | 223,263                     | 4,118,890        | 702,554                 | 439,081                                                                  | 18,877                              | 4,935,136                           | 317,759                                          | <b>13,242,981</b> |
| <b>დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2020</b>                 |                    |                             | <b>397,122</b>   | <b>208,653</b>          | <b>16,660</b>                                                            | <b>8,923</b>                        | <b>1,665,938</b>                    | <b>186,893</b>                                   | <b>2,484,189</b>  |
| ცვეთის ხარჯი                                          |                    |                             |                  | 115,899                 | 2,683                                                                    | 76                                  | 764,863                             | 47,331                                           | <b>930,853</b>    |
| რეალიზაცია                                            |                    |                             |                  |                         |                                                                          |                                     |                                     |                                                  | -                 |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021</b>              |                    |                             | <b>397,122</b>   | <b>324,552</b>          | <b>19,343</b>                                                            | <b>8,999</b>                        | <b>2,430,801</b>                    | <b>234,225</b>                                   | <b>3,415,041</b>  |
| ცვეთის ხარჯი                                          |                    |                             | 133,086          | 139,205                 | 5,386                                                                    | 159                                 | 767,897                             | 47,664                                           | <b>1,093,397</b>  |
| რეალიზაცია                                            |                    |                             |                  | 10,242                  |                                                                          |                                     | 205,588                             |                                                  | <b>215,830</b>    |
| დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022                     | -                  | -                           | 530,208          | 453,515                 | 24,728                                                                   | 9,159                               | 2,993,110                           | 281,889                                          | <b>4,292,608</b>  |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება<br/>1 იანვარი 2021</b> |                    | <b>4,059</b>                | <b>2,264,604</b> | <b>312,649</b>          | <b>356</b>                                                               |                                     | <b>2,436,866</b>                    | <b>118,120</b>                                   | <b>5,136,654</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2021</b>                              | <b>2,487,421</b>   | <b>223,263</b>              | <b>2,264,604</b> | <b>392,481</b>          | <b>6,553</b>                                                             | <b>686</b>                          | <b>2,932,280</b>                    | <b>83,535</b>                                    | <b>8,390,822</b>  |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>                              | <b>2,487,421</b>   | <b>223,263</b>              | <b>3,588,681</b> | <b>249,039</b>          | <b>414,353</b>                                                           | <b>9,718</b>                        | <b>1,942,027</b>                    | <b>35,871</b>                                    | <b>8,950,373</b>  |

**5. გაცემული სესხები**

| დასახელება       | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|------------------|-------------|-------------|
| გაცემული სესხები | 2,061,152   | 1,963,547   |

**6. სასაქონლო მატერიალური მარაგები**

| დასახელება  | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|-------------|-------------|-------------|
| საქონელი    | 384,866     | 733,683     |
| სხვა მარაგი | 170,008     | 743,933     |

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რომელიც გულისხმობს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

**7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან**

| დასახელება                               | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|------------------------------------------|-------------|-------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1,396,190   | 1,448,944   |

**8. ფული და ფულის ექვივალენტები**

| დასახელება                     | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|--------------------------------|-------------|-------------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში    | 147,524     | 728         |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 3,392       | 2879        |

**ჯამი** **150,917** **3607**

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

**9. კაპიტალი და რეზერვები**

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ დივიდენდის სახით გასცა 42,105 ლარი

**10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

| დასახელება                                              | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|---------------------------------------------------------|-------------|-------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 1,130,075   | 858,833     |
| მიღებული ავანსები                                       | 95,161      | 709         |

**11. მიღებული სესხები**

| დასახელება                       | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|----------------------------------|-------------|-------------|
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება | 6,733,496   | 9,270,372   |

**12. გადასახდელი ხელფასები**

| დასახელება            | 31-დეკ-2022 | 31-დეკ-2021 |
|-----------------------|-------------|-------------|
| გადასახდელი ხელფასები | 0           | 0           |

კომპანიის თანამშრომელთა შრომითი საქმიანობის ანაზღაურება ხდება ფიქსირებული განაკვეთით. ასევე ანაზღაურებაში შედის ყოველწლიური ანაზღაურებადი შევსება, ავადმყოფობის გამო შევსება და ბონუსები. ყველა სახის ანაზღაურება დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

### 13. შემოსავალი

| საოპერაციო შემოსავლები                        | 2022 წელი         |
|-----------------------------------------------|-------------------|
| საქონლის რეალიზაციიდან და შიდა გადაზიდვებიდან | 18,681,320        |
| საერთაშორისო გადაზიდვებიდან                   | 4,673,914         |
| <b>ჯამი</b>                                   | <b>23,355,234</b> |

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს სატრანსპორტო მომსახურება, კვების პროდუქტების და სამშენებლო მასალების რეალიზაცია წარმოადგენს.

### 14. ხარჯები

| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 2022 წელი  |
|---------------------------------------|------------|
| საქონლის ღირებულება                   | 13,769,719 |

შპს „MAX-TRANS GEORGIA“-ს თვითღირებულება შეესაბამება სავაჭრო კომპანიების თვითღირებულების მოდელს.

| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები          | 2022 წელი |
|--------------------------------------------|-----------|
| სატრანსპორტო საშუალებების რემონტის ხარჯები | 3,481,240 |
| საწვავის ხარჯები                           | 2,615,148 |
| მივლინების ხარჯები                         | 440,806   |
| სხვა საერთო ხარჯები                        | 91,512    |
| სხვა საგადასახადო ხარჯები                  | 86,675    |
| დაზღვევის ხარჯები                          | 62,115    |
| საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ხარჯი     | 60,516    |
| ელექტროენერგია და გაზი                     | 43,517    |
| საბანკო მომსახურების ხარჯი                 | 29,360    |
| იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი           | 22,381    |
| ნებართვები და ლიცენზიები                   | 20,897    |
| ტრანსპორტირების ხარჯი                      | 20,886    |
| კომუნიკაციის ხარჯები                       | 13,460    |
| საპენსიო ფონდი                             | 12,850    |
| ტექ დათვალიერების ხარჯები                  | 6,305     |
| საკანცელარიო ხარჯები                       | 4,930     |
| საოფისე ინვენტარის ხარჯები                 | 791       |

| დასახელება                                      | 2022 წელი |
|-------------------------------------------------|-----------|
| წმინდა შემოსავალი/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან | 1,139,695 |

### 15. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულიად.

#### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

### 16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

#### საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

#### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

#### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 4) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს

გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

### კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

## 17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| გაცემული სესხი    | 2022      | 2021      |
|-------------------|-----------|-----------|
| შპს მაქს ჰოლდინგი | 644,034   | 726,257   |
| შპს ბ.მ ჯგუფი     | 1,417,118 | 1,237,290 |

## 18. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საწარმოს უწყვეტობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას კომპანიის ფუნქციონირების ნორმალურ პირობებში.

საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში კომპანიის რეალიზაცია გაიზარდა და ასევე გაიზარდა კომპანიის მიერ მიღებული მოგება. ამ გარემოების გათვალისწინებით მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანია ახლო მომავალშიც განაგრძობს თავის საქმიანობას და არ არსებობს რაიმე პირობა გარემოებარომელიც ხელს შეუშლის კომპანიის ფუნქციონირებას ანგარიშგებისთარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

## 19. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი

მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

დირექტორი

მალხაზ მალაყმაძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
„MAX-TRANS GEORGIA“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

✓ საქმიანობის მიმოხილვა

შპს „Max Trans Georgia“ ოპერირებს 2008 წლიდან. კომპანია წარმატებით მოღვაწეობს თავის სფეროში და აფართოებს საქმიანობას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება დასაქმებულ პირთა რაოდენობის ზრდაზე.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია **მალხაზ მალაყმაძე, 61006012322 /საქართველო/.**

შპს „Max Trans Georgia“ სატრანსპორტო მომსახურებითაა ბაზარზე წარმოდგენილი. კომპანიის ბალანსზეა დაახლოებით 50 ერთეული სატრანსპორტო საშუალება; ასევე კომპანიამ წლების განმავლობაში მოახდინა სხვადასხვა ბიზნეს სფეროების დამატება; სატრანსპორტო მომსახურებასთან ერთად კომპანია მომხმარებელს თავაზობს სამშენებლო მასალების იმპორტი რეალიზაცია; გაყინული ქათმის პროდუქტების იმპორტი რეალიზაცია; ასევე სასაწყობე ფართების იჯარა;

2022 წელს ჩვენი კომპანია პროდუქციის მიწოდებას მომსახურების გაწევას ახდენდნდა ისეთ კომპანიებზე, როგორიცაა:

- შპს თენა 401949978
- შპს ლუიდორი 401968082
- შპს მაგი 448387460
- შპს ჯაკსტორი 405019386
- შპს კმპ 204575469
- შპს ფრემ პროდუქტ კომპანია 445652650
- შპს ჯი არ სი 205017578
- შპს ნაზილბე ++ 445555943
- შპს ლუზი-კომპანი 245617346
- შპს მეგადიზაინჯორჯია 405321628
- შპს იზი 412686026
- შპს თიკო 448388717
- შპს ვნ გრუპი 446977479
- შ.პ.ს. კავკასიის ტრანსპორტი და ლოგისტიკა-ბათუმი 445399097

✓ მომსახურების ცენტრები

კომპანიამ 2023 წლიდან გახსნა ახალი მთავარი ოფისი ქ. ბათუმი აეროპორტის გზატკეცილი 297;

აღნიშნულ ლოკაციაზე კომპანია ასევე ფლობს სასაწყობე ფართებს და საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებისათვის ტექნიკური მომსახურების ბოქსებს;

✓ სამომავლო გეგმები

კომპანიის მიზანია ყოველწლიურად გაზარდოს ბაზრის წილი და აქტიურად გაიმყაროს პოზიცია მის სფეროში. იგი აქტიურად მონაწილეობს სამომავლო სტრატეგიულ მიმართულებებზე.

თანამშრომლები პერიოდულად გადიან სწავლებას, გადამზადებას და მორგებას მომხმარებელთა ინტერესებზე, ვინაიდან კომპანიის შემოსავალი სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარეობს.

კომპანიის გრძელვადიან მიზნებია ძირითადი ავტო პარკის განახლება და კიდევ რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების დამატება, ასევე იმპორტის გაზრდა რაც პარალელურად გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას.

- ✓ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები
- ✓ კომპანიაში შექმნილია ჯგუფური/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად, რაც შესაბამისი რეგულაციით მოითხოვება. შრომის უსაფრთხოების კონტროლისთვის კომპანია ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად ამოწმებს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების დონესა და მის შესაბამისობას აღიარებულ სტანდარტებთან. კომპანიას აქვს მუდმივი მზაობა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შრომის პირობების გაუმჯობესება.
- ✓ კომპანიის მენეჯმენტი სრულად ჩართულია შრომის უსაფრთხოების სისტემების განვითარებასა და ოპერირებაზე.

შპს „MAX-TRANS GEORGIA“-ს  
დირექტორი

მალხაზ მალაყმაძე

30.09.2023 წელი